

ძვირფასო მეგობრებო!

პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინა 21-ე საუკუნეში მედიცინის თითქმის ყველა დარგში შემოიჭრა და აქტიურად ვითარდება მრავალ კვყანაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გასულ წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დააანონსა, რომ საფუძველი ჩაეყარა გრანდიოზულ პროექტს სახელწოდებით „ზუსტი მედიცინის ინიციატივა“. პროექტის ინიციატორები არიან NIH, NCI და FDA. პროექტის განსახორციელებლად 2016 წლისთვის 216 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული. იმედოვნებენ, რომ პროექტის შედეგები დაეხმარება მეცნიერებს:

- აღმოაჩინონ დაავადებები ადრეულ სტადიაზე;
- შეიმუშავონ ახალი პრეპარატები და მათი ტესტირების უფრო დახვეწილი საშუალებები;
- შეიმუშავონ მკურნალობის ცალკეულ ინდივიდზე მორგებული კურსი და სხვა

თსუ მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტს და ადამიანის გენეტიკის და ეპიგენეტიკის საქართველოს საზოგადოებას დიდი სურვილი აქვს გამოეხმაუროს ამ დიდ მოვლენას და პოპულარიზაცია გაუწიოს პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინას, წინ წამოსწიოს მისი როლი და მნიშვნელობა მედიცინის და მეცნიერების განვითარების საქმეში. ამ მიზანს ემსახურება ჩვენს მიერ ორგანიზებული შეხვედრა, სადაც განხილული იქნება ამ მიმართულების აქტუალური საკითხები.

ჩვენი საზოგადოების და დეპარტამენტის ორგანიზებით საქართველოში უკვე მეორედ ტარდება დნმ-ის დღისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსი, სადაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონკურსი ემსახურება სტუდენტების დაინტერესებას საბაზისო მეცნიერებებით. ესეების კონკურსმა წელსაც დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტებს შორის. კონფერენციის ფარგლებში გაიმართება კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალი.

პატივისცემით,

ელენე აბზიანიძე, საზოგადოების პრეზიდენტი

ეკა კვარაცხელია, საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი



კონფერენციაზე გაიმართება დნმ-ის დღისადმი მიძღვნილი
ესეების კონკურსი 2016-ის
გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია
კონკურსის მხარს უჭერს ადამიანის გენეტიკის ევროპის საზოგადოება (ESHG)

კონფერენციას მიენიჭებული აქვს -5- პირველი ტიპის უკმაჟო
თსუ პროფესიული განვითარების საფონდი

www.geneticsgeorgia.org; www.tsmu.edu



კონფერენცია: “სამედიცინო გენეტიკა და ეპიგენეტიკა პერსონალიზებულ/ზუსტ მედიცინაში: მემკვიდრეობიდან მკურნალობამდე”

2016 წლის 25 აპრილი 15:00 სთ

თსუ-ს ადმინისტრაციული კორპ. I სართ.

პროგრამა

ვაჟა-ფშაველას გამზირი 33
საქართველო, თბილისი

www.geneticsgeorgia.org; www.tsmu.edu

დრო	2016 წლის 25 აპრილი
15:00-16:00	რეგისტრაცია
15:20-15:30	კონფერენციის გახსნა
15:30-16:00	დნმ-ის დღისადმი მიძღვნილ ესეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება;
16:00-16:20	რას წარმოადგენს პერსონალიზებული/ზუსტი მედიცინა, ზოგადი მიმოხილვა, მიღწევები და პერსპექტივები; ე.აბზიანიძე, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
16:20-16:40	პერსონალიზებული მედიცინა და ორსულთა პათოლოგიები: მემკვიდრული თრომბოფილია; ნ. ფირცხელანი, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
16:40-17:00	ეპიგენეტიკური რეგულაციების კვლევის მეთოდები და მისი პერსპექტივები პერსონალიზებული მედიცინის განვითარებაში; ე. კვარაცხელია, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;
17:00-17:20	პერსონალიზებული მედიცინა და სიმსივნე, ძუძუს კიბოს ეპიგენეტიკური ასპექტები საქართველოს ქალთა პოპულაციაში; ქ. კანკავა, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი;
17:20-17:40	ეპიგენეტიკური დარღვევები ფარისებრი ჯირკვლის ზოგიერთი პათოლოგიის დროს; თ. კვარაცხელია, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის დოქტორანტი;
17:40-18:00	განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების გენეტიკურ-მეტაბოლური შეფასება; თ. ტყემალაძე, თსსუ-ს მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;
18:00-18:30	დისკუსია, შემაჯამებელი სიტყვა.

ესეების კონკურსი 2016-ის საკითხები:

1. აირჩიეთ დღეისათვის ხელმისაწვდომი გენეტიკური ტესტირების მეთოდი ისეთი დაავადებისთვის, რომლის სიმპტომები არ ვლინდება ზრდასრულ ასაკამდე (მაგ., როგორიცაა ძუძუს კიბოს მემკვიდრული ფორმა). აღწერეთ ტესტირების მეთოდი და შედეგების საწინმუნოება. იმსჯელეთ, არის თუ არა მისაღები მოზრდილთა დაავადებების პრედიქტული გენეტიკური ტესტირება მოზარდებისთვის, რომლებიც არ ავლენენ დაავადების ნიშნებს.

2. გენომიკა ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს პერსონალიზებული (ზუსტი) მედიცინის განვითარებას. იმისათვის რომ მოხდეს პერსონალიზებული მედიცინის პოტენციის გაძლიერება უამრავი ადამიანი ემხრობა დიდი მონაცემთა ბაზის შექმნის იდეას. ემხრობით თუ არა მთელი პოპულაციის ბიოლოგიური ნიმუშების შეგროვების იდეას იმ მიზნით, რომ უკეთ დავადგინოთ გენომური მარკერების ქავშირი დაავადებების სწორ პრევენციასთან/მკურნალობასთან. არის თუ არა ეს პერსონალიზებული მედიცინის მომავლი თუ პირადი მონაცემების ასე ფართოდ გაზიარების წინააღმდეგი ხართ?

გამარჯვებულებისთვის დაწესებულია ჯილდოები:

- I ადგილი - 300 ლარი
- II ადგილი - 200 ლარი
- III ადგილი - 100 ლარი

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:
 ელენე აბზიანიძე
 ეკა კვარაცხელია
 თინათინ ტყემალაძე
 ნინო ფირცხელანი
 მანანა ჭიპაშვილი
 ციალა გიგინეიშვილი
 ელისაბედ იმნაძე
 ბელა ფარცხალაძე
 ქეთევან კანკავა
 თამარ კვარაცხელია

www.geneticsgeorgia.org; www.tsmu.edu
info@geneticsgeorgia.org;
geoepigene@gmail.com